საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარეს ბატონ **შალვა პაპუაშვილს**

მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძის** პ/N
[redacted]
[redacted] ტელ.: [redacted]

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო შალვა,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საკანონმდებლო წინადადების საქართველოს **„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“** საქართველოს კანონით რეგულირებულ იმ საკითხ(ებ)თან დაკავშირებით, რომლებთან მიმართებითაც ვფიქრობ, რომ საჭიროებს შემდომ დახვეწას.

დანართი:

საკანონმდებლო წინადადება - ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმოსვლასთან დაკავშირებული რეგულაციების სრულყოფის თაობაზე.

პატივისცემით,

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-13016/22
"10" 10 2022 წ. ფურცელი 3

საქართველოს პარლამენტს

საკანონმდებლო წინადადება

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმოსვლასთან დაკავშირებული
რეგულაციების სრულყოფის თაობაზე

- **ცვლილების სახეობა:** „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ.

- **კანონის პროექტის მიღების დასაბუთება:** 2008 წლის 23 ოქტომბერს მიღებული იქნა "ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" საქართველოს კანონი (რს 431-IIს), რომლის მიზანი გახდა იმ ტერიტორიების სტატუსის განსაზღვრა, რომლებიც ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად, ასევე ამ ტერიტორიების განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმის დადგენა (მუხლი 1). საქართველოს პარლამენტის ვებ გვერდზე კანონმდებლობის ჩანართში (კოდი 07-3/27/7; თარიღი 22/09/2008) კანონის პროექტთან მიმართებით მოძიებულ განმარტებით ბარათში[1] ასევე აღნიშნულია, რომ „კანონის პროექტი ითვალისწინებს რუსული შეიარაღებული ძალების მიერ ოკუპლირებული ტერიტორიების სამართლებრივი რეჟიმის განსაზღვრას, რომელიც ვრცელდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე. აღნიშნული რეჟიმი გულისხმობს საკუთრების უფლების, სამეწარმეო საქმიანობისა და <u>თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე</u>". სწორედ ამ უკანასკნელ საკითხს შეეხება ხსენებული საკანონმდებლო წინადადებით წარმოდგენილი მოსაზრება. „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად:

  - ✓ „უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა დაშვებულია[2] მხოლოდ:
    ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიებზე–ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიმართულებიდან;
    ბ) ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებზე)– გორის მუნიციპალიტეტის მიმართულებიდან".

ამასთან, საგულისხმოა, რომ კანონის თანახმად, აკრძალული მიმართულებებიდან ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა, მხოლოდ საქართველოს მთავრობის მიერ

---

1 იხ. ბმული: https://parliament.ge/legislation/10179

2 კანონის მე-4 მუხლით ასევე გათვალისწინებულია განსაკუთრებულ შემთხვევაში ოკუპირებულ ტერიტორიაზე აკრძალული მიმართულებებიდან შესვლა, საქართველოს სახელმწიფო ინტერესების, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების, დეოკუპაციის, ომით დაზარალებულ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენის ან ჰუმანიტარული მიზნებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით გაცემული სპეციალური ნებართვის ფლობის შემთხვევაში.

სპეციალური ნებართვით არის შესაძლებელი და ისიც, განსაკუთრებულ შემთხვევებში. პრაქტიკაში, გადაადგილება ოკუპირებულ ტერიტორიებზე შეიზღუდა რუსეთის ფედერაციის მხრიდან. შეზღუდვა ასევე ეხება შავი ზღვის მხრიდან აფხაზეთში შესვლას. უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი[3], რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე "ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" კანონით დადგენილ წესს დაარღვევს, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით. ამასთან, „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" საქართველოს კანონით არ არის განსაზღვრული ის რეჟიმები/ აკრძალვები, რომელიც ეხება ოკუპირებული ტერიტორიების გავლით საქართველოდან გასვლას/ ტერიტორიის დატოვებას, რაც შეიძლება აფერხებდეს კანონით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას.

- **იდენტიფიცირებული პრობლემა, რომლის გადაჭრაც საკანონმდებლო წინადადების მიზანია:** უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიერ ოკუპირებული ტერიტორიების მხრიდან საქართველოდან გასვლასთან დაკავშირებით სახელმწიფო პოლიტიკის საკანონმდებლო დონეზე დაურეგულირებლობა.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, უცხოელი საქართველოში შემოდის და საქართველოდან გადის საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილი სასაზღვრო გამტარი პუნქტიდან მიმოსვლისათვის დადგენილ საათებში, თუ მას აქვს მოქმედი სამგზავრო დოკუმენტი და მიიღებს საქართველოში შემოსვლის ნებართვას. შესაბამისად, უცხო ქვეყნის მოქალაქემ, რომელიც იმყოფება ოკუპირებულ ტერიტორიაზე (მათ შორის საქართველოს

---

[3] „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მეორე მუხლის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, ხსენებულ კანონში გამოყენებულ ტერმინს უცხოელი განმარტებულია, როგორც – პირი, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი. **საქართველოს მოქალაქეებად მიიჩნევიან:**

- ✓ 1975 წლის 31 მარტამდე დაბადებული პირები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობდნენ ჯამში არანაკლებ 5 წლის განმავლობაში, 1993 წლის 31 მარტისთვის იმყოფებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე და რომლებსაც არ მიუღიათ სხვა ქვეყნის მოქალაქეობა;
- ✓ 1975 წლის 31 მარტის შემდეგ დაბადებული პირები, რომლებიც 1993 წლის 31 მარტისთვის ცხოვრობდნენ საქართველოში და რომლებსაც არ მიუღიათ სხვა ქვეყნის მოქალაქეობა;
- ✓ საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებული პირები, რომლებმაც 1991 წლის 21 დეკემბრის შემდეგ დატოვეს საქართველოს ტერიტორია და, ამდენად, ვერ აკმაყოფილებენ ამ პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტების მოთხოვნებს, თუ მათ არ მიუღიათ სხვა ქვეყნის მოქალაქეობა.

წყარო: „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ვებ გვერდი http://www.abkhazia.gov.ge/banner/49. სასურველია, საჭიროებისამებრ, „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელდეს მითითება, რომლის შედეგადაც კანონის მოქმედება ასევე არ გავრცელდება იმ პირებზე, რომელთაც უდგინდებათ საქართველოს მოქალაქეობა.

მთავრობის მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე) ვალდებულია საქართველოდან გავიდეს/ ქვეყანა დატოვოს საქართველოს მიერ კონტროლირებული სასაზღვრო გამტარი პუნქტებიდან. შესაბამისად, უცხოელი ოკუპირებული ტერიტორიებიდან, ზუგდიდის ან გორის მუნიციპალიტეტის გავლით, უკან უნდა დაბრუნდეს/ გადმოვიდეს საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, რათა დანიშნულების ადგილზე მისი შემდგომი გამგზავრება არაკანონიერ ფარგლებში არ მოექცეს. აქვე, საინტერესოა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები:

სისხლის სამართლის კოდექსის 322[1] მუხლი (ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევა)	**სისხლის სამართლის კოდექსის 344 მუხლი** (საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა)
1. უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის დარღვევით, – <u>ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.</u> 2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი: ა) ჯგუფურად; ბ) არაერთგზის; გ) ძალადობით ან ძალადობის მუქარით; დ) ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ, – <u>ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.</u>	1. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა, – ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე. 2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი: ა) ჯგუფურად; ბ) ძალადობით ან ძალადობის მუქარით, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ხუთ წლამდე.

ზემოხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მყოფი უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ, საქართველოს ტერიტორიის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მდებარე იმ სასაზღვრო პუნქტების (საავტომობილო: როკი, განთიადი; სარკინიგზო: განთიადი; საზღვაო პორტი: სოხუმი, ოჩამჩირე) მეშვეობით დატოვება, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ამჟამად ვერ აკონტროლებს პრაქტიკაში შეიძლება ისაჯებოდეს, როგორც „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევისათვის ან სისხლის სამართლის კოდექსის 344 მუხლის საფუძველზე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო კვეთისათვის. თუმცა, ამ უკანასკნელის შემთხვევაში მიზანშეწონილი იქნებოდა კოდექსის 322[1] მუხლს ასევე მოეცვა ოკუპირებული ტერიტორიებიდან გასვლასთან დაკავშირებული საკითხიც (ხსენებულ საკითხთან მიმართებით სახელმწიფოს პოლიტიკის წარმოსაჩენად). ნებისმიერ შემთხვევაში „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლისათვის „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული რეგულაციის ასახვა, ხელს შეუწყობს საზღვრის კვეთისათვის დაწესებული მოთხოვნების ერთობლიობაში მოყვანას და ოკუპირებულ ტერიტორიებზე არაკანონიერი მიმოსვლის შემცირებას. მაგალითად, „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლს

ქვემოაღნიშნული სახის (მეექვსე) პუნქტის დამატების გზით (რამაც თავის მხრივ სსკ-ის 322[1] მუხლის კორექტირებაზეც შეიძლება მოახდინოს გავლენა):

- ✓ „ოკუპირებულ ტერიტორიაზე მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე პირისათვის, საქართველოდან გასვლა დაშვებულია მხოლოდ საქართველოს საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილი სასაზღვრო გამტარი პუნქტიდან, <u>თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული</u>."

- ❖ **კანონპროექტის მიზანი:** კანონპროექტის მიზანია ოკუპირებული ტერიტორიებზე უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა (შესაძლო) არაკანონიერი მიმოსვილის შემცირების ხელშეწყობა. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმოსვლასთან დაკავშირებით ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის რეგულირება.

- ❖ **კანონის პროექტის ძირითადი არსი:** კანონპროექტის თანახმად, კანონის მე-4 მუხლის დაემატება მე-6 პუნქტი, რომლის შესაბამისად მიეთითება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მყოფი პირისათვის საქართველოს ტერიტორიის დატოვების კანონიერი გზა/ მიმართულება.

- ❖ **საკანონმდებლო წინადადების ავტორი:**

საქართველოს მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძე,** პირადი ნომერი [redacted]
მცხ.: [redacted]; საფოსტო ინდექსი [redacted]
ელ. ფოსტა: [redacted] მობ.: [redacted]

07/10/2022